ბრძანება

23 მარტი 2020 წ. თბილისი № 45/01

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 9 აგვისტოს №114/01 ბრძანებაში „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების) განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №434 განკარგულების „ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 11 მარტის №501 განკარგულების „ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 მარტის №434 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, თსსუ-ის წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 9 აგვისტოს №114/01 ბრძანებაში „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების) განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის მიზნით,

ვბრძანებ:

I. შევიდეს ცვლილება „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების) განსაზღვრის შესახებ“ ბრძანების I პუნქტის:

1.„ნ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ნ) სტუდენტთა გაზაფხულის სემესტრული რეგისტრაცია: **24 თებერვალი, 2020 წ. 15 აპრილი, 2020 წ.“**

2. „ო“ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ო) გაზაფხულის სემესტრის ხანგრძლივობა: **30 მარტი, 2020წ. 8 აგვისტო, 2020 წ.“**

3.„ჟ“ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ჟ) დამამთავრებელი გამოცდები: **2020 წ. 15 ივნისიდან“.**

4.„რ“ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„რ) გაზაფხულის სემესტრის საგამოცდო სესია: **29 ივნისი, 2020 წ. – 6 აგვისტო, 2020წ.“**

II. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

III. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ხ. თოდაძეს.

IV. ბრძანება დაეგზავნოს: ვიცე-რექტორებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, გამოცდებისა და უნარჩვევების შეფასების ცენტრს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასების და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტს, ყველა ფაკულტეტის დეკანატს, ეკონომიკურ დეპარტამენტს, ყველა სასწავლო დეპარტამენტს.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი